

## მეცხრე კლასის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების განხილვა

თეიმურაზ ლომსიანიძე<sup>1</sup>, რენიკო საკანდელიძე<sup>2</sup>

<sup>1</sup>მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო; <sup>2</sup>ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

### რეზიუმე

ადამიანის ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების ცვლილება გვიჩვენებს ორგანიზმის დინამიურ განვითარებას. კვლევისათვის აღებულია სხეულის სიგრძე, მასა, თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობა. დაკვირვების მიზანია ცვლილებების ანალიზი, რომელიც მოხდა პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსწავლეებში ბოლო ორი წლის განმავლობაში. დაკვირვებას კვლავ ვაწარმოებდით ქუთაისის სამ სკოლაში, უკვე მეცხრე კლასის მოსწავლეებში, იგივე ბავშვებში. ამ დროისათვის გაანალიზებულმა ფიზიკური განვითარების საშუალო მაჩვენებელმა გვიჩვენა:

1 14 და 15 წლის ბავშვთა შორის ფიზიკური განვითარების საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა 39,5% შემთხვევაში(ბიჭები), 36,8% შემთხვევაში(გოგონები). დანარჩენებში კი იყო საშუალო მონაცემები. ან უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა მათ 7,8% შემთხვევაში(ბიჭები), 9,3% შემთხვევაში(გოგონები)..

2 დინამიკაში შესაბამისი მატება განიცადა ყველა საშუალო მაჩვენებელმა, მოსწავლეთა ამ ჯგუფში, ფიზიკურ განვითარებაში შეფერხება არ აღინიშნება.

**საკვანძო სიტყვები:** ფიზიკური განვითარება; დინამიკაში; ასაკობრივი კატეგორია; ცვლილებების ანალიზი; პრაქტიკულად ჯანმრთელი

ადამიანის ორგანიზმი მუდმივად იმყოფება გარე სამყაროს ზემოქმედების ქვეშ, რომლის დროსაც განიცდის ცვლილებას ნორმის ფარგლებში. ფიზიკური განვითარების მახასიათებლების ცვლილება, სხვა მრავალ მაჩვენებლებთან ერთად გვიჩვენებს ადამიანის ორგანიზმის დინამიურ განვითარებას. პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანთა

ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების აღწერა განსაზღვრავს მონაცემების სისწორეს და სანდოობას. ჩვენ შემთხვევაში აღებულია სიმაღლე(სხეულის სიგრძე), მასა, თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობა.[1,2,3,4,5,6,7,11,12]

მოცემული ნაშრომის მიზანია იმ ცვლილებების ანალიზი, რომელიც მოხდა ორი წლის განმავლობაში. მონაცემების ანალიზი ბოლოს ჩატარებული იყო 2024 წელს. კვლევას დაექვემდებარენ პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვები. დაკვირვებას კვლავ ვაწარმოებდით ქუთაისის იმავე სამ სკოლაში, როგორც თავიდან, უკვე მეცხრე კლასის მოსწავლეებში, გამოკვლეული იყო იგივე ბავშვები, რომელთა რაოდენობამ 90-ია: 46 გოგო და 44 ბიჭი. მიღებული საშუალო შედეგები დაჯგუფებული იქნა ცხრილის სახით თითოეული ასაკობრივი კატეგორიისათვის. შედარება მოხდა სხვადასხვა ლიტერატურულ და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებთან.[1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12]

ჩვენს მიერ მიღებული საშუალო შედეგები

ასაკი	სხეულის სიგრძე -სმ		სხეულის მასა-კგ		გულმკერდის გარშემოწერილობა- სმ		თავის გარშემოწერილობა- სმ	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
14წელი	162,1	167,7	53,4	61,5	85,7	82,7	52,8	53,5
15წელი	163,1	169,5	56,3	67,8	87,0	83,4	53,1	54,9

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საშუალო მონაცემები

ასაკი	სხეულის სიგრძე -სმ		სხეულის მასა-კგ		გულმკერდის გარშემოწერილობა- სმ		თავის გარშემოწერილობა- სმ	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
14წელი	161,1	167,8	52,4	60,5	84,9	81,2	52,3	53,4
15წელი	162,1	169,3	54,3	65,7	87,1	81,1	53,2	55,2

სხვადასხვა ლიტერატურული საშუალო მონაცემები

ასაკი	სხეულის სიგრძე-სმ		სხეულის მასა-კგ		გულმკერდის გარშემოწერილობა-სმ		თავის გარშემოწერილობა-სმ	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
14წელი	161,0	167,5	53,4	60,3	85,9	81,4	52,1	53,3
15წელი	162,2	169,1	55,3	64,7	86,2	81,5	53,1	55,0

გამოკვლევულ ბავშვთა ფიზიკური განვითარების საშუალო მაჩვენებლების მატება 2 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებული შედეგებით

სხეულის სიგრძე-სმ		სხეულის მასა-კგ		გულმკერდის გარშემოწერილობა-სმ		თავის გარშემოწერილობა-სმ	
გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
9,1	14,1	10,3	11,6	5,0	4,2	1,7	1,8

ამ ეტაპზე ანალიზის შემდეგ მივიღეთ:

1. 14 და 15 წლის ბავშვთა შორის ფიზიკური განვითარების საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა 39,5% შემთხვევაში(ბიჭები), 36,8% შემთხვევაში(გოგოები). დანარჩენებში კი იყო საშუალო მონაცემები. უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა საშუალოს-7,8% შემთხვევაში(ბიჭები), 9,3% შემთხვევაში(გოგოები).
2. ბოლო ორი წლის განმავლობაში შესაბამისი მატება განიცადა ფიზიკური განვითარების ყველა საშუალო მაჩვენებელმა. შეიძლება დავასკვნათ: მოსწავლეთა ამ ჯგუფში, დინამიკაში შეფერხება არ აღინიშნება.
3. დაკვირვება გრძელდება რათა დავდოთ უფრო სრულყოფილი შედეგები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ზარანდია მ.ი. ბავშვის განვითარების კანონზომიერებანი თბ.მეცნიერება 1985წ.- 211გვ.
2. კაციტაძე გ.ზ. აფხაზეთიდან დროებით ადგილნაცვალ ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთა და ადრეული ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებელი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი თბილისი 2001 წ.- 27 გვ.
3. ლომსიანიძე თ. . (2022). დაწყებითი კლასების ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლებისა და ცხოვრებისეული ანამნეზის კავშირის განხილვა დინამიკაში. ქართველი მეცნიერები, 4(4), 1–7. <https://doi.org/10.52340/gc.2022.04.04.01>
4. თეიმურაზ ლომსიანიძე. (2022). დაწყებითი კლასების ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების განხილვა დინამიკაში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, (4), 174–177. <https://doi.org/10.52340/jecm.2022.06.27>
5. შუკაკიძე ა.ქ. რუსთავის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი 1992წ.- 23 გვ.
6. Alfredo R. Tinajero and Anaïs Loizillon -The Review of Care, Education and Child Development Indicators in Early Childhood -Desk review prepared for UNESCO on existing indices and indicators-2012
7. Butenko H. ,Goncharova N.,Salenko V., Tolchieva H.,-Physical condition of primary school children in school year dynamics-Journal of Physical Education and Sport 2017(2):543 - 549
8. Баранов А. А. Состояние здоровья современных детей и подростков и роль медико-социальных факторов в его формировании Вестн. РАМН. – 2009. – №5. – С. 6–11.
9. Беляков В.А. Физическое развитие детей школьного возраста, проживающих в Кирове, за 10-летний период Вісник ЛНУ імені Тараса Шевченка. – 2012. – №8 (243). – С. 11.
10. Дегтярев И.П. Физическое развитие. Киев 2005 – ст.23-48
11. Лаптев А. Управление физическим развитием. – Москва. 2003 - 180ст
12. . Щуров В.А., Могеладзе Н.О., Горбачёва Л.Ю. Децелерация роста тела детей как форма адаптации к изменившимся социально-экономическим условиям жизни Фундаментальные исследования. – 2011. – № 9

# Physical Development Indicators discussion among the Ninth Grade Children

Teimuraz Lomsianidze<sup>1</sup>; Reniko Sakandelidze<sup>2</sup>

<sup>1</sup>Doctor of Medicine, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

<sup>2</sup>Doctor of Biology, Professor; Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

## Summary

The change in the indicators of human physical development shows the dynamic development of the organism. The body length, mass, head and chest circumference were taken for the study. The purpose of the observation is to analyze the changes that have occurred in practically healthy students over the past two years. We conducted the observation again in three schools in Kutaisi, already among the ninth grade students, the same children. The average indicators of physical development analyzed at this time showed us:

1. Among 14 and 15-year-old children, above-average indicators of physical development were observed in 39.5% of cases (boys), 36.8% of cases (girls). The rest had average data. Or they were slightly behind them in 7.8% of cases (boys), 9.3% of cases (girls)..
2. All average indicators experienced a corresponding increase in dynamics, in this group of students, there is no delay in physical development.